

საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა

სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის

დანართი №3

1. სოციალური ინიციატივის დაფინანსებისა და ეკონომიკური აგენტის სუბსიდირების - განაცხადის ადმინისტრირების პირობები და შეფასების კრიტერიუმები

სოციალური ინიციატივის დაფინანსებისთვის ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირებისთვის განისაზღვრება განაცხადის მიღების ვადა, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ კვირაზე ნაკლები. განაცხადის მიღების დაწყება დაანონსდება სააგენტოს ვებ გვერდზე და მოხდება პერიოდულად.

სოციალური პროექტის დაფინანსებისთვის ან ეკონომიკური აგენტის სუბსიდირებისთვის განაცხადს თან უნდა ერთვოდეს 1 ინვოისი, ყველა იმ ნივთზე, რომლის შეძენაც მოთხოვნილია. ინვოისში ნივთის ღირებულების გარდა, აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ნივთის ზუსტი მოდელი და/ან მოიცავდეს ნივთის ტექნიკურ მახასიათებლებს. პროექტის გამარჯვების შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს სამი ინვოისი თითოეულ მოთხოვნილ ნივთზე და ხელმოწერილი დოკუმენტი ნივთების მისთვის მისაღებ მინიმალურ ტექნიკურ მახასიათებლებზე დასაშვები ცვლილებების მითითებით.

განაცხადით გათვალისწინებული საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის და/ან განაცხადის შეფასებისთვის, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოთხოვნილი იქნას დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

განმცხადებელს პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

2. განაცხადების შემოწმება და განხილვა

წარმოდგენილ განაცხადს ამოწმებს სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური და განიხილავს სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი რეინტეგრაციის პროგრამის ადმინისტრირების კომისია (შემდგომში - კომისია).

ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადების წინასწარ შემოწმებას და ადგენს რამდენად შესაბამისია პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, შემოწმების ეტაპზე, განმცხადებელს განუსაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ოდენობით და მოსთხოვოს მას განაცხადში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება, სავალდებულოდ წარმოსადგენი ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა და/ან ინფორმაციის დაზუსტება. წარმოსადგენი დოკუმენტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე და მოიცავდეს:

- განახლებულ საკუთრების ცნობას;
- ნოტარიულად დამოწმებულ საიჯარო ხელშეკრულებას;
- პროფესიის, ცოდნისა და/ან გამოცდილების დამადასტურებელ სერთიფიკატს და/ან ფოტო-ვიდეო მასალას;
- განახლებულ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას დავალიანების არქონაზე;
- სხვა მტკიცებულებას.

ამავდროულად, მოთხოვნილი დოკუმენტაცია პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის მიზნების განხორციელებასთან. განმცხადებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, რა მიზნით ითხოვს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით.

ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ:

- თუ ის არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ან განმცხადებელმა განსაზღვრულ ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი და/ან არ დააზუსტა და/ან არ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია;
- განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა კონკურსში მონაწილეობაზე;
- განმცხადებელი განმეორებით გაემგზავრა ემიგრაციაში;
- არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რის გამოც განაცხადის განხილვას შედეგი არ ექნება.

განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება წერილობით.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც ამოწმებს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური:

1. განაცხადი წარმოდგენილია დადგენილ ვადაში, ხელმოწერილია, შევსებულია სრულყოფილად და თანდართულია წარმოსადგენი დოკუმენტაცია, მათ შორის, განაცხადის წარმოდგენის შემდეგ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია;
2. განმცხადებელი არის არაუმეტეს 1 წლის დაბრუნებული ემიგრაციიდან;
3. განმცხადებელი რეგისტრირებულია სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში და რეგისტრაციიდან არ არის გასული 1 წელზე მეტი;
4. განაცხადით მოთხოვნილი ტექნიკა/დანადგარების ღირებულება/დაფინანსება ჯამურად არ აღემატება პროგრამით დადგენილ ზღვრებს.
5. წარმოდგენილ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

4. შეფასების კრიტერიუმები

შემოწმების ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს განმცხადებლების ადგილზე მონიტორინგს. მონიტორინგის ანგარიშის ფორმა თანდართულია პროგრამის **N5 დანართად**. მონიტორინგის დროს შემოწმდება განაცხადში მითითებული ინფორმაციის სიზუსტე. მონიტორინგის განხორციელების შემდეგ, ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური წარმოდგენილ განაცხადებს წარუდგენს კომისიას, რომელიც განიხილავს, აფასებს წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებით და ავლენს გამარჯვებულებს. თითოეულ კრიტერიუმს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. ქულათა დადგენა ხორციელდება კომისიის წევრების ხმათა უმრავლესობით. ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 14.

კომისიის სხდომის მიმდინარეობისას შესაძლებელია მოხდეს განმცხადებელთან სატელოფონო კომუნიკაცია ან მოწვეულ იქნეს კომისიის სხოდმაზე, რომლის დროსაც იგი ასაბუთებს შესაძენად მოთხოვნილი ნივთების საჭიროებას. განმცხადებლის სხდომაზე გამოუცხადებლობის, ტექნიკური საშუალების გამოყენებით გასაუბრების შეუძლებლობის ან განმცხადებლის მიერ გასაუბრებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კომისია განაცხადს აფასებს მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

განაცხადი ფასდება მასში მითითებული ინფორმაციის, მონიტორინგის ანგარიშისა და განმცხადებლის მიერ კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით.

განაცხადის შეფასების კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	ქულა	განმარტება
გამოცდილება და უნარი	2	განმცხადებელს აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს; აქვს შესაბამისი უნარები და რესურსები დაფინანსების მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის.
	1	განმცხადებელს არ აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს, თუმცა აქვს შესაბამისი უნარები და რესურსები დაფინანსების მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმართვისთვის.
		განმცხადებელს აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს, თუმცა მისი უნარებისა და/ან რესურსების არქონის გამო, საეჭვოა დაფინანსების მიზნობრივად გამოყენება და საქმიანობის წარმატებით წარმართვა.
	0	განმცხადებელს არ აქვს გამოცდილება იმ საქმიანობაში, რასაც გეგმავს; არ აქვს შესაბამისი უნარები და რესურსები დაფინანსების მიზნობრივად გამოყენებისა და საქმიანობის წარმართვისთვის.
განხორციელებადობა	2	განმცხადებელს კარგად აქვს ჩამოყალიბებული და გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა რეალურია, მოთხოვნილი ძირითადი საშუალებები საჭიროა და მაღალია დაფინანსების მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის წარმატებით განხორციელების შესაძლებლობა.
	1	განმცხადებელს მეტნაკლებად აქვს გააზრებული ის საქმიანობა, რის განხორციელებასაც აპირებს; იდეა მეტნაკლებად რეალურია, მოთხოვნილი ძირითადი საშუალებები მეტნაკლებად საჭიროა და შესაძლოა დაფინანსების მიზნობრივად გამოყენება და იდეის განხორციელება.
	0	არ დგას მოთხოვნილი ქონების შეძენის საჭიროება და/ან იდეა არარეალურია და/ან დაბალია დაფინანსების მიზნობრივად გამოყენებისა და იდეის განხორციელების შესაძლებლობა.
მდგრადობა	2	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობა იქნება მდგრადი.

	1	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობა შესაძლებელია.
	0	არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საქმიანობის მდგრადობას საფრთხე ემუქრება.
რისკები	2	განმცხადებელს გააზრებული აქვს ყველა შესაძლო რისკი; იცის როგორ მოახდინოს რისკების შემსუბუქება და/ან თავიდან აცილება.
	1	განმცხადებელს გააზრებული აქვს შესაძლო რისკები, თუმცა არ აქვს ნაფიქრი, როგორ მოახდინოს მათი შემსუბუქება და/ან თავიდან აცილება.
	0	განმცხადებელს არ აქვს გააზრებული შესაძლო რისკები. შესაბამისად, არ აქვს ნაფიქრი მათ შემსუბუქებასა და/ან თავიდან აცილებაზე.
ფინანსური ნაწილი	2	განმცხადებლის მიერ მოყვანილი ფინანსური გათვლები რეალურია და სრულყოფილად არის გააზრებული
	1	განმცხადებლის მიერ მოყვანილი ფინანსური გათვლები რეალურია, თუმცა, სრულყოფილად არ არის გააზრებული
	0	განაცხადის ფინანსური ნაწილი არ არის შევსებული და/ან კომისიის წევრის შეფასებით, განმცხადებელს არ აქვს გააზრებული საქმიანობის ფინანსური ნაწილი და/ან მის მიერ მოყვანილი ფინანსური გათვლები არ არის რეალური
მოწყვლადობა	2	განმცხადებელს აქვს სოციალურად დაუცველის, ან დევნილის ან შშმ პირის სტატუსი, და ასევე ყავს 2 ან 2-ზე მეტი არასრულწლოვანი შვილი.
	1	განმცხადებელს აქვს სოციალურად დაუცველის, ან დევნილის ან შშმ პირის სტატუსი, ან ყავს 2 ან 2-ზე მეტი არასრულწლოვანი შვილი.
	0	განმცხადებელს არ აქვს არც სოციალურად დაუცველის, არც დევნილის და არც შშმ პირის სტატუსი და არ ყავს 2 ან 2-ზე მეტი არასრულწლოვანი შვილი.
მიგრაციის ისტორია	2	განმცხადებელს აქვს მხოლოდ 2 საზღვრის კვეთა (1 გასვლა -1 შემოსვლა).
	1	განმცხადებელს აქვს არაუმეტეს 4 საზღვრის კვეთა (2 გასვლა -2 შემოსვლა).
	0	განმცხადებელს აქვს 6 ან მეტი (ხშირი) საზღვრის კვეთა .

5. გამარჯვებული განაცხადის გამოვლენა

პროგრამის ფარგლებში გამარჯვებულად გამოვლინდება ყველაზე მაღალი ქულის მქონე განაცხადები, პროგრამისათვის განკუთვნილი ფინანსური რესურსის ფარგლებში. კომისიას შეუძლია დაადგინოს მინიმალური გამსვლელი ქულა, რომელიც ჩაიწერება კომისიის სხდომის ოქმში.

კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არაუმეტეს 2 კვირის ვადაში, სააგენტოს დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

უარყოფითი გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება წერილობით, ხოლო კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილთა სია ქვეყნდება¹ ვებ გვერდზე (www.idp.gov.ge), რომელიც ავტომატურად მიიჩნევა განმცხადებლისთვის გამარჯვების შესახებ შეტყობინებად.

საჭიროებისამებრ, ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში, გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარები შესაბამისი შეტყობინების მიღების შემდეგ, ვალდებული არიან წარუდგინონ ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახურს 3 ინვოისი კომისიის მიერ დასაფინანსებლად განსაზღვრულ ნივთებზე, მათი ზუსტი მახასიათებლების, მოდელისა და ღირებულების მითითებით, 14 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულის თაობაზე, სააგენტოსა და განმცხადებელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია როგორც წერილობითი, ისე სატელეფონო და ელექტრონული შეტყობინებით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, განაცხადის გარეკანზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება შეტყობინების თარიღის მითითებით. ინვოის(ებ)ის წარმოდგენლობის შემთხვევაში, ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური უფლებამოსილია სააგენტოს დირექტორს მიმართოს შუამდგომლობით, განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით. ამასთანავე, სურსათის პირველადი წარმოება/გადამუშავების მიმართულებით გამარჯვებული ბენეფიციარები, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული არიან წარმოადგინონ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაუქმდება გადაწყვეტილება განმცხადებლის გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე.

განაცხადების გამარჯვებულად გამოვლენის შემდეგ, სააგენტო უზრუნველყოფს გამარჯვებულთათვის მოთხოვნილი ნივთების შესყიდვას. გამარჯვებულად გამოვლენილი ბენეფიციარის მიერ მოძიებულ ინვოისში წარმოდგენილ ნივთზე, რომლის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, სააგენტოს მიერ საჯაროდ გამოცხადდება მომწოდებლის გამოვლენის მიზნით ინტერესების გამოხატვის წინადადებების მიღება და შეირჩევა ის წინადადება,

¹ ვებგვერდზე გამოქვეყნდება ბენეფიციარის სახელი და გვარი;

რომელიც შეიცავს, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილი, ნივთის შესასყიდ ყველაზე დაბალ ფასს. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით შესაძლებელია ჩატარდეს ბაზრის კვლევა და მოძიებული ინვოსიებიდან შეირჩეს ბენეფიციარის მიერ მოთხოვნილი ყველაზე დაბალი ფასის მქონე ნივთი. შერჩეული მომწოდებლისგან ნივთის შეძენა განხორციელდება ვაუჩერის და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მეშვეობით. 1000 ლარზე მეტი ღირებულების ნივთების შესყიდვა მოხდება „სახელმწიფო შესყიდვის კანონის“ შესაბამისად.

გამარჯვებულებსა და სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულება. გამარჯვებული ვალდებულია მიღებული ქონება გამოიყენოს პროგრამის მიზნის შესაბამისად ხელშეკრულების ხელმოწერიდან არანაკლებ 2 წლის განმავლობაში. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ამოქმედდება შესაბამისი სანქციები.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესყიდვის პროცესის დროს გამარჯვებული ბენეფიციარისთვის ნივთ(ებ)ის შესყიდვა ვერ მოხერხდა ნივთ(ებ)ის ბაზარზე ხელმიუწვდომლობის გამო, გამარჯვებულ ბენეფიციარს შეუძლია მოითხოვოს არსებული განაცხადის დაკორექტირება და მოთხოვნილი ნივთ(ებ)ის ჩანაცვლება მსგავსი დანიშნულების სხვა ნივთ(ებ)ით, რომელიც საჭიროა გამარჯვებული ბენეფიციარის პროექტის განხორციელებისთვის.

გამარჯვებული ბენეფიციარის ხელმეორედ ემიგრაციაში გამგზავრების შემთხვევაში, მისი პროექტის გამარჯვებულად ცნობა გამოცხადდება ძალადაკარგულად. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი საზღვარგარეთ გაემგზავრება სამკურნალოდ ან ნათესავების/ახლობლების მოსანახულებლად ან სხვა საპატიო მიზეზით, რომელიც არ გულისხმობს ხელახალ ემიგრაციას და/ან დასაქმებას, მან სააგენტოს უნდა აცნობოს წინასწარ, ასევე წარმოადგინოს უკან დასაბრუნებელი ბილეთის ასლი. აღნიშნულ შემთხვევაში გამარჯვებული ბენეფიციარის საქართველოს ფარგლებს გარეთ ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული ბენეფიციარი ხელმეორედ გაემგზავრება ემიგრაციაში მისთვის ნივთების შესყიდვის პროცესის დასრულების შემდეგ, შესყიდული ნივთების შეთავაზება მოხდება მსგავსი პროექტის მქონე სხვა ბენეფიციარებისთვის.